



საჯარო სამართლის იურიდიული პირი-

განათლების ხარისხის განვითარების  
ეროვნული ცენტრის დირექტორის  
ბრძანება № 881

30 10 2015წ.

ქ. თბილისი

„სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის შიდა აუდიტის სამსახურის  
დებულების დამტკიცების შესახებ“ საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების  
ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2015 წლის 26 მარტის №224 ბრძანებაში  
ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და საქართველოს  
განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით  
დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების  
ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. განხორციელდეს ცვლილება საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების  
ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2015 წლის 26 მარტის №224 ბრძანებით  
დამტკიცებულ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის შიდა აუდიტის  
სამსახურის დებულებაში“ და:

ა) მე-2 მუხლს „პ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ჟ“ ქვეპუნქტი:

„ჟ) საიდუმლო საქმისწარმოების განხორციელება, მოქმედი კანონმდებლობით  
გათვალისწინებულ შესაბამის ინფორმაციასა და დოკუმენტაციასთან დაკავშირებული  
საიდუმლოების რეჟიმის დაცვის უზრუნველყოფა;“

ბ) მე-16 მუხლს პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „დ“  
ქვეპუნქტი:

„დ) სამსახურის საქმისმწარმოებელი.“

გ) მე-17 მუხლის მე-4 პუნქტს „ქ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ღ“  
ქვეპუნქტი:

„ღ) უზრუნველყოფს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შესაბამის ინფორმაციას  
და დოკუმენტაციასთან დაკავშირებული საიდუმლოების რეჟიმის დაცვას;“

დ) მე-18 მუხლის:

დ.ა) სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„სამსახურის თანამშრომლების ამოცანები და ფუნქციები“

დ.ბ) მე-3 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-4 პუნქტი:

„4. შიდა აუდიტის სამსახურის საქმისმწარმოებლის ამოცანები და ფუნქციებია:

ა) ცენტრში შემოსული და გასული საიდუმლო დოკუმენტაციის საიდუმლო საქმისწარმოების განხორციელება;

ბ) „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებული ნორმატიული აქტების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 24 სექტემბრის №507 დადგენილებით დამტკიცებული „ინფორმაციის სახელმწიფო საიდუმლოებისათვის მიკუთვნებისა და დაცვის წესისა“ და „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, მათ შორის, საიდუმლო კორესპონდენციის მიღების, რეგისტრაციის, მოძრაობის გაფორმების, გაგზავნის, დავალებათა შესრულების კონტროლის, საქმეთა ფორმირების, არქივში დოკუმენტაციის ჩაბარებისა და დაცვის ორგანიზაციის უზრუნველყოფა;

გ) მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შესაბამის ინფორმაციასა და დოკუმენტაციასთან დაკავშირებული საიდუმლოების რეჟიმის დაცვის უზრუნველყოფა.“.

2. დაევალოს ცენტრის საქმისწარმოებისა და მომსახურების განყოფილებას ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის უზრუნველყოფა.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, 12 კმ, №6).

დირექტორი



გიორგი შარვაშიძე